ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3496129

ნომერი: AR1535215

თარიღი : 24.08.2017

გაცემის თარიღი : 24.08.2017

გაცნობის თარიღი : 24.08.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის მასივი , კვარტალი I წიგნის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის მიმდებარედ (ნაკვ.4/16));

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქობალია პ/ნ 19001002458
- საქართველო, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზუგდიდი, ლევან ქობალიას ქუჩა, N 41

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 24 აგვისტოს №AR1535215 განცხადებით მომართა მოქ. ალექსანდრე ქობალიამ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის

24 აგვისტოს №3494858 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 ბრძანებით, შევიდა ცვლილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: 2017 წლის 23 აგვისტოს №AR1534686 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი მოთხოვნით, ცვლილება უნდა შესულიყო სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობში ნაცვლად საცხოვრებელი ფართობისა.
სამსახურმა გამოიკვლია 2017 წლის 24 აგვისტოს №AR1535215 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა და მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 5598.5 კვ.მ, საერთო ფართობად დაფიქსირდეს 20584.6 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3494858 და 2015 წლის 07 აგვისტოს №2055740 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.